სახელმწიფო ენის გამოცდების მოთხოვნები[1]

სახელმწიფო ენის ფლობის დონის განმსაზღვრელ გამოცდაში მონაწილეობის მიღების მსურველს მოეთხოვება:

A1 დონისათვის

მოსმენა	• გარკვევით და ნელა წარმოთქმული მარტივი ტექსტებიდან აქტიური ლექსიკური ერთეულებისა და მარტივი ფრაზების გაგება; • ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულების (მაგ.: დიახ, არა, გამარჯობა, ნახვამდის, ბოდიში, გმადლობთ...) გაგება; • ყოფითი ლექსიკის გაგება; • გარკვევით და ნელა წარმოთქმული მარტივი ინსტრუქციების გაგება; • ყოფით თემატიკასთან (მაგ.: ადამიანის ვინაობასთან, ასაკთან, ეროვნებასთან, სადაურობასთან, ოჯახთან, საქმიანობასთან...) დაკავშირებული ნელი და მკაფიო საუბრიდან ცალკეული სიტყვების, გამოთქმებისა და ფრაზების გაგება.
კითხვა	• ძალიან მოკლე, მარტივი ტექსტის გაგება აქტიური ლექსიკური ერთეულებისა და ძირითადი ფრაზების საშუალებით; • ბლანკის, სარეგისტრაციო ფორმის ან იმგვარი კითხვარის გაგება, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ვინმეს სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, მისამართის, ოჯახური მდგომარეობისა და მისთ. შესახებ; • აფიშებზე, პოსტერებსა და აბრებზე დაწერილი ინფორმაციის ძირითადი აზრის გაგება; • მოსაწვევი ბარათის წაკითხვა და გაგება (რისთვის, სად, როდის და რომელ საათზე იწვევენ, მაგ.: დაბადების დღეზე ანდა გამოფენაზე...).
წერა	• ბლანკის, სასტუმროს სარეგისტრაციო ფორმისა და მისთ. შევსება (სახელის, გვარის, ასაკის, ეროვნების, მისამართის... ჩაწერა); • საყოფაცხოვრებო ნივთების მარტივი წერილობითი აღწერა (მაგ.: მანქანის ფერის, ზომის... მითითება); • ძალიან მარტივი, მოკლე წინადადებებით საკუთარი ყოველდღიურობის (მაგ.: საქმიანობის, ოჯახის, ჰობის, ნაცნობების, დღის რეჟიმის...) წერილობით გადმოცემა. • ძალიან მოკლე ტექსტის (მაგ.: მისალოცი ბარათის, მარტივი სტანდარტული წერილის, მეგობრისადმი გასაგზავნი მოკლე, მარტივი შეტყობინების...) დაწერა.
ლაპარაკი	• მარტივი სიტყვებით მისალმება, დამშვიდობება, თანხმობის, უარყოფის, თხოვნის, მობოდიშებისა თუ მადლიერების გამოხატვა (მაგ.: გამარჯობა, ნახვამდის, დიახ, არა, ბოდიში, გთხოვთ, გმადლობთ...); • საუბარი საკუთარი თავისა და ოჯახის შესახებ (მაგ.: ვინაობა, დაბადების ადგილი, ასაკი, დაბადების თარიღი – რიცხვი, თვე, წელი, ოჯახის წევრები, მათი გარეგნობის მარტივი აღწერა...); • ძალიან მარტივ დიალოგში მონაწილეობის მიღება; • მარტივი შეკითხვების დასმა (მაგ.: სად არის? რა არის? ვინ არის?..); • პროდუქტების, ნივთების (მაგ.: საჭმლის, სასმლის, ტანსაცმლის, ბილეთის...) შეკვეთა და შეძენა; • ნაცნობი ობიექტის ადგილმდებარეობის დასახელება, მასთან მისასვლელი გზისა და საშუალების მარტივი ლექსიკით ახსნა.

[1] „სახელმწიფო ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი გამოცდების მოთხოვნები“ ეფუძნება 2020 წლის 25 ივნისის სხდომაზე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა“.

A2 დონისათვის

მოსმენა	• გარკვევით და ნელა წარმოთქმულ ტექსტში (მაგ.: გამყიდველისა და მყიდველის დიალოგში...) ხშირად გამოყენებული სიტყვების, ცალკეული ფრაზებისა და მოკლე წინადადებების გაგება; • გარკვევით და ნელა წარმოთქმული მოკლე, მარტივი შეტყობინებების ანდა განცხადებების დედააზრის გაგება; • მარტივი მითითების გაგება იმის შესახებ, თუ როგორ მივიდეს (ფეხით თუ ტრანსპორტით) სასურველ ადგილამდე; • იმგვარი საუბრის გაგება, რომელიც რაიმე ნივთის მახასიათებლებს (მაგ.: ფერს, ზომას, წონას, მოცულობას) ეხება; • გარკვევით და ნელა წარმოთქმული ტექსტიდან იმ ძირითადი ინფორმაციის ამოკრება და გაგება, რომელიც ყოველდღიურ ამბებს ეხება; • იმის მიხვედრა, თუ რას ეხება შემთხვევით გაგონილი საუბარი (მაგ.: მაღაზიაში, ტრანსპორტში, ბანკში...).
კითხვა	• მოკლე, მარტივი ტექსტისა თუ შეტყობინების ძირითადი აზრის გაგება; • წარწერების, აბრებისა და მინიშნებების (დირექტივების, ინსტრუქციების, გაფრთხილებების...) გაგება (მაგ.: ქუჩაში, რესტორანში, რკინიგზის სადგურში, აეროპორტში, მეტროში...); • მარტივად ამოსაცნობი ინფორმაციის მოძიება განრიგში, ცხრილში, მენიუში, რეკლამაში, განცხადებაში, წიგნის სარჩევში, საძიებელსა თუ ცნობარში და მისი ძირითადი აზრის გაგება; • საყოფაცხოვრებო თემაზე შექმნილი და თხრობითი ხასიათის მცირე ზომის, მარტივი მხატვრული ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება; • საყოფაცხოვრებო თემაზე დაწერილი მარტივი სტანდარტული წერილების გაგება (მაგ.: მოთხოვნა, დაკვეთა, დადასტურება...).
წერა	• პირადი მონაცემების შესახებ მოკლე მარტივი ჩანაწერების გაკეთება (მაგ.: ანკეტის შევსება განათლების, ინტერესების, პროფესიული საქმიანობისა და სხვ. შესახებ); • ტექსტის შედგენა აქტიური ლექსიკის გამოყენებით საკუთარი საქმიანობის (მაგ.: სწავლის, სამსახურის, სპორტისა თუ თავისუფალი დროის...) შესახებ; • მარტივი შინაარსის მოსაწვევი ბარათის დაწერა, ამგვარ ბარათზე წერილობითი პასუხის გაცემა, საჭირო ინფორმაციისა თუ რჩევის მიცემა (მაგ.: ამა თუ იმ ნივთის ფასის შესახებ მაღაზიაში ანდა იმის შესახებ, რომელი სპორტული კლუბი, საცურაო აუზი თუ სილამაზის სალონია უმჯობესი); • ყოფით თემებზე (მაგ.: არდადეგების, მომავალი მოგზაურობის...) მარტივი ტექსტების შედგენა; • მარტივი განცხადების დაწერა, საჭირო განცხადებაზე რეაგირება, პირადი თუ ზოგადი ხასიათის, ყოველდღიურობასთან დაკავშირებული მოკლე წერილობითი ტექსტის შექმნა.
ლაპარაკი	• მოკლე საუბარი საკუთარი თავისა (მაგ.: ვინაობის, მისამართის, ტელეფონის ნომრის, სადაურობის, წარმომავლობის, სამუშაოს...) და ოჯახის (მაგ.: ოჯახის წევრების ასაკისა და პროფესიების, მათი წარმომავლობისა და ა. შ.) შესახებ; • მარტივი ფრაზების გამოყენებით საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობის აღწერა, რაიმე ფაქტის, მოვლენისა (მაგ.: წვეულების, ექსკურსიის, გაკვეთილის...) და მათთან დაკავშირებული ემოციების მარტივად გადმოცემა; • ყოველდღიური პრაქტიკული საკითხების შესახებ მარტივი საუბარი (როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და ესაუბრებიან) ნელა და მკაფიოდ, აგრეთვე, მარტივი შეკითხვების დასმა თავაზიანი ფორმების გამოყენებით; • მოკლე სატელეფონო საუბრის (მაგ.: შეხვედრის ადგილის დანიშვნა...) წარმართვა, ვინმესათვის დახმარების თხოვნა (მაგ.: გეგმაზე ან რუკაზე მარშრუტის ჩვენება...) და ადეკვატური რეაგირება მაშინ, როდესაც მას სთხოვენ დახმარებას; • მსჯელობაში მონაწილეობის მიღება სტანდარტული ფრაზების გამოყენებით, ასევე საკუთარი აზრის გამოხატვა ამა თუ იმ საკითხის შესახებ; • შეკამათება სტანდარტული რეპლიკების გამოყენებით და საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

B1 დონისათვის

მოსმენა	• ყოველდღიურობის შესახებ გარკვევით და ნელა წარმართული საუბრისა და მარტივი საინფორმაციო შეტყობინებების გაგება; • დიალოგის გაგება, თუ გარკვევით და მკაფიოდ ლაპარაკობენ; • იმგვარი დისკუსიის ძირითადი შინაარსის გაგება, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებას ან/და საყოველთაოდ ცნობილ თემებს ეხება; • სატელევიზიო თუ რადიოგადაცემების (მაგ.: ინტერვიუების, ახალი ამბების, ბუნების დაცვის ანდა ცხოველთა სამყაროს შესახებ გადაცემების, სპორტული მიმოხილვის, რეკლამების...) მთავარი არსისა და მნიშვნელოვანი დეტალების გაგება, თუ ტექსტი სალიტერატურო ენით, ნელა და გარკვევით გადმოიცემა; • მარტივი და მკაფიო სტრუქტურის მქონე ლექციისა და მოხსენების გაგება; • მარტივი ტექნიკური ინსტრუქციებისა (მაგ.: როგორ გამოიყენება ესა თუ ის ხელსაწყო...) და მარტივი ინფორმაციის დეტალების (მაგ.: როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებაში...) გაგება.
კითხვა	• ფაქტობრივი მასალის შემცველი მარტივი ტექსტების გაგება; • ისეთი მოკლე ტექსტების გაგება, რომლებშიც ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებებია (მაგ.: მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებული პოლემიკა...) გამოთქმული; • აქტუალური თემების შესახებ დაწერილი სტატიებისა (მაგ.: ბუნების დაცვის, კულტურის, მშენებლობის...) და მოკლე ინტერვიუების გაგება; • მოკლე განცხადებების, შეფუთვაზე დატანილი ინფორმაციისა (მაგ.: საკვების შემადგენლობის, მომზადების წესის...) და მოკლე ინსტრუქციების (მაგ.: ხელსაწყოების, ტელეფონის, ბანკომატის, წამლების...) წაკითხვა და მათი შინაარსის გაგება; • ვრცელ ტექსტებში საჭირო ინფორმაციის პოვნა და ტექსტის სხვადასხვა ნაწილიდან ან სხვადასხვა ტექსტიდან ინფორმაციის შეკრება, აგრეთვე, განსახილველი საკითხების მთავარი არსის გაგება დეტალებში ღრმა წვდომის გარეშე.
წერა	• ფორმითა და შინაარსით სტანდარტული, ძალიან მოკლე, ინფორმაციული ხასიათის ესეს დაწერა ყოველდღიურობისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ; • პირადი წერილის დაწერა მნიშვნელოვანი მოვლენის ან საკუთარი ემოციების (მაგ.: მოგზაურობის შთაბეჭდილების, საინფორმაციო ხასიათის ახალი ამბების, მეგობრებთან ურთიერთობის...) შესახებ; • მარტივი ენობრივი საშუალებებით თანამიმდევრული ტექსტის (ამბავი, მოვლენა, გამოცდილება...) შექმნა, ავტობიოგრაფიის დაწერა; • განცხადებაზე (მაგ.: სასწავლო კურსების, ბილეთის, სასტუმროს დაჯავშნის და ა. შ. შესახებ) წერილობითი რეაგირება; • ტექსტის შექმნა ფართოდ გავრცელებულ თემებზე (მაგ.: სასწავლებლის დამთავრება, მუშაობის დაწყება, თანამედროვე მოდა, სპორტის რომელიმე სახეობა...); • საგნებისა თუ მოვლენების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, მარტივი ენობრივი საშუალებებით საკუთარი აზრის დასაბუთება, საინტერესო ფაქტების დაწვრილებით აღწერა და საჭირო ინფორმაციის წერილობით მოთხოვნა.

ლაპარაკი	• სპონტანურად ჩართვა საუბარში, რომელიც მიმდინარე პროცესებს, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო თემებს (მაგ.: ნივთების ღირებულებას, გაიაფება-გაძვირებას, ფასდაკლებას, რაიმეს მოხმარების წესებს), პოპულარულ სფეროებს (მაგ.: მუსიკალურ ჯგუფებს, მსახიობებს, ფილმებს, წიგნებს...) ეხება, და საკუთარი აზრის გამოთქმა; • თანამიმდევრულად და მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით იმგვარი მოვლენისა თუ ფაქტის გადმოცემა (მაგ.: დაჯილდოების ცერემონიის, საგზაო შემთხვევის...), რომელსაც თვითონ შეესწრო; • მარტივი სატელეფონო საუბრის წარმართვა (მაგ.: პირადი ცხოვრების შესახებ...); • დისკუსიაში მონაწილეობის მიღება და საკუთარი აზრის, შთაბეჭდილებისა თუ განცდის მოკლედ გადმოცემა, ახსნა, დასაბუთება, ასევე მოსაუბრისათვის შეკითხვების დასმა და ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა საყოველთაოდ ცნობილი აქტუალური საკითხების შესახებ; • მოკლე ინტერვიუს ჩამორთმევა, დამატებითი შეკითხვების დასმა; • აქტუალური თემის შესახებ წინასწარ მომზადებული მოხსენების წარდგენა; • საკუთარი თვალსაზრისის, დამოკიდებულების გამოხატვა, მოსაუბრესთან დათანხმება ან არდათანხმება, პრეტენზიის გამოთქმა (მაგ.: მაღაზიაში რაიმე ნივთის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში...); • თანამოსაუბრისათვის დეტალური მითითებებისა და რჩევების მიცემა (მაგ.: ტანსაცმლის, ტექნიკისა და მისთ. საყიდლად, საჭმლის მოსამზადებლად, ამა თუ იმ ქვეყანაში თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გასატარებლად...); • კონკრეტული და ზუსტი ინფორმაციის გაცემა (მაგ.: ექიმისათვის ავადმყოფობის სიმპტომების აღწერა...), ყოფით სიტუაციებში აზრის ზუსტად ჩამოყალიბება.

B2 დონისათვის

მოსმენა	• პირად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო თუ პროფესიულ თემებზე სალიტერატურო ენით წარმართული საუბრის გაგება; • აქტუალური თემების შესახებ სატელევიზიო რეპორტაჟების, პირდაპირი ჩართვების, ტოქშოუებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ახალი ამბებისა თუ საინფორმაციო გადაცემების გაგება; • ჩვეულებრივი ტემპით წარმოთქმული იმ განცხადებების გაგება, რომლებიც ზოგად თუ კონკრეტულ თემებს ეხება, აგრეთვე, ფილმების პერსონაჟების საუბრის გაგება, თუ ისინი სალიტერატურო ენით მეტყველებენ; • კომპიუტერის, ტელეფონის, ავტომობილისა და მისთ. ტექნიკური მახასიათებლებისა თუ ფუნქციების დაწვრილებითი განმარტებების გაგება; • მოსაუბრის ტონისა (საყვედურისა თუ მადლიერების...) და განწყობის, ზოგ შემთხვევაში, იუმორის ამოცნობა.
კითხვა	• ვრცელი კორესპონდენციის წაკითხვა, ძირითადი აზრისა და ზოგჯერ დეტალების ამოცნობა; იმგვარი სტატიების გაგება, რომლებშიც თანამედროვე პრობლემები სხვადასხვა კუთხით არის განხილული; • ინფორმაციის მოძიების მიზნით რთული ტექსტიდან მნიშვნელოვანი დეტალების გამოყოფა, სხვადასხვა თემაზე შექმნილი სტატიების შინაარსსა და აქტუალურობაში გარკვევა; • რაიმე მოწყობილობის მოხმარებისა და უსაფრთხოების დეტალური აღწერილობის შემცველი რთული ინსტრუქციის გაგება.
წერა	• წერილებსა და სხვა ტიპის ტექსტებში საკუთარი გამოცდილების, მოსაზრებების, ემოციების დეტალურად გადმოცემა, პირად ინტერესებზე ხაზგასმა, სხვის თვალსაზრისზე კომენტარების გაკეთება; • ფილმის, წიგნის, სპექტაკლის შინაარსის დაწერა, მოსმენილი ინფორმაციისა თუ ისტორიის (მაგ.: მოგზაურობის, თავგადასავლის...) ვრცლად, ნათლად და ზუსტად გადმოცემა; • საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა ამა თუ იმ პრობლემის შესახებ, დამოკიდებულების, მიზეზისა თუ შედეგის შესახებ ვარაუდებისა და მოსაზრებების გამოთქმა; • გარკვეულ თემაზე ტექსტის შექმნა – სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და განზოგადება, განსხვავებული პოზიციის ასახვა და ერთმანეთთან შედარება, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა.

ლაპარაკი	• დაუბრკოლებელად მონაწილეობა ხმაურიან გარემოში ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ ვრცელ საუბარში; • ამა თუ იმ ამბის ანდა პირადი განცდების თანამიმდევრულად და დეტალურად გადმოცემა, შთაბეჭდილებებისა და გრძნობების შესახებ საუბარი, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ასევე პრობლემისა თუ ვითარების დეტალური აღწერა და არსებული სიტუაციიდან გამოსვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა; • რთულ დიალოგში მონაწილეობის მიღება, რეკომენდაციების გაგება და გაცემა, ფაქტობრივი მასალების ერთმანეთთან შედარება, ნიუანსების აღწერა, ასევე საკუთარი პროფესიული გამოცდილების დეტალურად გადმოცემა; • საკუთარი აზრებისა და შეხედულებების ზუსტად გადმოცემა და დასაბუთება მაშინაც კი, როდესაც საუბარი რთულ თემებს ეხება, აგრეთვე, საუბრის დაწყება, აზრის გამოთქმა, საუბრის პროცესში შეკითხვების დასმა და საუბრის დასრულება; • დისკუსიის პროცესში არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება, მტკიცება და ალტერნატიული შეხედულებების შეფასება, ასევე სხვათა არგუმენტებზე რეაგირება და დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა; • იმგვარი ამოცანისათვის თავის გართმევა, რომელიც სპონტანურ ენობრივ რეაგირებას მოითხოვს (მაგ.: დაჯარიმება, საგზაო შემთხვევები...); • აზრის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება, იმგვარი ენობრივი შეცდომების თავიდან აცილება, რომლებიც აზრს ამახინჯებს.